პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 60 (1230) | სამშაბათი, 20 მაისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.



# 210 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია რობერტ შავლაყაძემ

17-18 მაისს ერევანში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული მატჩი მძლეოსნობაში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლები კვლავ გამარჯვებულნი გამოვიდნენ — 175,5 ქულა, მეორე ადგილი დაიკავეს აზერბაიჯანელებმა — 119,5 ქულა, მესამე — სომხეთის გუნდმა—68,0 ქულა.

საქართველოს მძლეოსნების მიერ ნაჩვენებ იქნა 23 პირველი თანრიგის, ერთი ოსტატის შედეგი და დამყარებულ იქნა ოთხი რესპუბლიკური რეკორდი: პიპინოვი გადახტა ჭოკით 4 მეტრსა და 25 სანტიმეტრზე, ნ. დვალიშვილმა ხუთჭიდში დააგროვა 4.314 ქულა, ხოლო ლ. იევლიევამ (გოგონებს შორის) — 4.143 ქულა. კვლავ ბრწყინვალედ გამოვიდა რ. შავლაყაძე. მან პირველ ცდაზევე დაძლია 190, 195, 200, 205 სანტიმეტრი. შემდეგ თამასა დადეს 210 სანტიმეტრზე. მეორე ცდაზე შავლაყაძე სიმაღლეს გადაევლო. ეს რესპუბლიკის ახალი რეკორდია და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი.

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში.

სურათზე: რ. შავლაყაძემ სიმაღლე აიღო. ახლა საჭიროა კუნთების სითბოს შენახვა და შემდეგ ახალი სიმაღლის იერიში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 54-ე სესია

13 მაისს ტოკიოში გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 54-ე სესია, რომელმაც მოისმინა რომის ზაფხულის თამაშებისა და სკვო-ველის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტების მოხსენებები. სესია განიხილავს აგრეთვე ბობსლეის საერთაშორისო ფედერაციის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ სპორტის ეს სახეობა შეტანილ იქნას 1960 წლის ზამთრის თამაშების პროგრამაში. დასავლეთ გერმანიას აქვს წინადადება — იმავე თამაშების პროგრამიდან გამორიცხულ იქნას ორჭიდი (თხილამურები, სროლა).

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გასარჩევად წარედგინა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტები იმის წინააღმდეგ, რომ სოფიის სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოლიმპიური პროგრამის შემცირების შესახებ. ტანმოვარჯიშეები და ხუთჭიდელები მოითხოვენ გუნდური შეჯიბრებების შემოღებას, მოფარიკავეები — რაპირაში ქალთა გუნდების შეჯიბრების დაშვებას და სხვ.

განზრახულია აგრეთვე საბჭოთა წინადადებების განხილვა იმის შესახებ, რომ ოლიმპიადაზე, სპორტის ყველა სახეობაში, რომლებშიც შეჯიბრებები ტარდება სხვადასხვა საერთაშორისო ფედერაციების მიერ, დაშვებულ იქნას ქალთა მონაწილეობაც.

საერთაშორისო საორგანიზაციო ოლიმპიური კომიტეტის 54-ე სესიის მუშაობაში საბჭოთა კავშირის მხრიდან მონაწილეობას იღებს ა. რომანოვი.

# შენარჩუნებულია მაღალი სისწრაფე

◆

მრავალდღიანი რესპუბლიკური ველორბოლა

◆

ყოველ ახალ ეტაპზე ველოსიპედისტები ახალ სიურპრიზებს თავაზობენ მსაჯთა კოლეგიას. ვინ იფიქრებდა რბოლის დასაწყისში, რომ საშუალო სისწრაფე ყოველ ეტაპზე იქნებოდა ასეთი მაღალი. მაგრამ ჩანს სპორტსმენებს ტყუილუბრალოდ არ დაუკარგავთ საწვრთნელი სეზონი, კარგად მომზადებულან და დღეს წარმატებით გამოდიან ამ რთულ შეჯიბრებაში. ველოსპორტის ხანდაზმული სპეციალისტების თქმით, ასეთი მაღალი შედეგები გრძელ დისტანციებზე საქართველოში არასდროს არ უჩვენებიათ.

როგორც წესი, რბოლას იწყებს მთელი ჯგუფი მაღალ ტემპში. აქ გამუდმებით არიან „დინამოს", არმიელთა, „ლოკომოტივის", „სპარტაკის" ველოსიპედისტები, ბათუმისა და სოხუმის წარმომადგენლები. გზაზე სპორტსმენებს ხვდება საკმაოდ ძნელი აღმართი. ყველა, როგორც ერთი კაცი, მსუბუქად სძლევს აღმართს და კვლავ ერთად მიჰყვებიან გზას. ახლოვდება ფინიში და კომპაქტური ჯგუფი მაინც არ ირღვევა. საკონტროლო ხაზს ჰკვეთს 10-15-20 ველოსიპედისტი ერთად.

ჩვენ გვახსოვს წინა წლების მრავალდღიანი შეჯიბრებები, როდესაც ჯგუფს მოწყვეტილი ლიდერი, მარტო, საკმაოდ იოლად ამთავრებდა ეტაპს. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ველოსიპედისტები მთელ დისტანციას გადიოდნენ დინჯ, აუჩქარებელ ტემპში და მხოლოდ ფინიშთან დაფაცურდებოდნენ ხოლმე. ამის მიზეზი იყო ის, რომ სპორტსმენები მაღალ ტემპს ვერ ინარჩუნებდნენ დიდი ხნით და ცდილობდნენ ფინიშთან ბრძოლით ამოეწურათ ეტაპი. წლევანდელ ველორბოლაში ყველაფერი „შებრუნებულადაა". ძნელად გასავლელ მონაკვეთებში სპორტსმენები ტემპს უმატებენ, მთელ დისტანციაზე იბრძვიან მაქსიმალური დატვირთვით, ფინიშისათვის არ იზოგავენ თავს და მაინც ვერ ახერხებენ ჯგუფისგან მოწყვეტას.

მეოთხე ეტაპი ბორჯომი-თბილისი, ველოსიპედისტთა სერიოზული შემოწმება უნდა ყოფილიყო, რადგან იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველად გაიმართა დაყოფილი სტარტი 50 კილომეტრზე, ხოლო შემდეგ გორიდან საერთო სტარტი თბილისამდე (ყველა საკავშირო ხასიათის შეჯიბრების ერთი ეტაპი დაყოფილ სტარტს გულისხმობს). დაყოფილი სტარტის დროს სპორტსმენები მიდიან ცალ-ცალკე ნახევარი წუთის განსხვავებით. ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა არმიელმა ა. აგაევმა და დინამოელმა ა. თავაძემ სტარტი მიიღეს ერთმანეთის შემდეგ. 5 წუთის შემდეგ ბრძოლაში ჩაება ს. რატიანიძე („ლოკომოტივი") და კიდევ ექვსნახევარი წუთის შემდეგ ბათუმელი რ. ჩხარტიშვილი, რომელსაც მიჰყვა დინამოელი ლ. შენგელია. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ბრძოლა პირველობისათვის მათ შორის გაიმართებოდა. სპორტსმენებმა აღებული ტემპი ბოლომდე შეინარჩუნეს, გაუსწრეს რა გზადაგზა ადრე წასულ ველოსიპედისტებს, ფინიშთან, რომელიც დანიშნული იყო გორის ციხის დასაწყისში, სპორტსმენები მივიდნენ ასეთი შედეგებით: კვინიკაძე — 1:09.20, აგაევი — 1:10.41, ჩხარტიშვილი — 1:10.46, შენგელია — 1:10.51. ამ ოთხეულის შედეგის გაუმჯობესება შემდგომში ვერავინ შეძლო და ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა. თავაძის შედეგი მეშვიდე გამოდგა — 1.11,38.

ორსაათიანი შესვენების შემდეგ ველორბოლის მონაწილეებმა აიღეს საერთო სტარტი და თბილისისაკენ გამოსწიეს. დასაწყისშივე ტემპი იმდენად მაღალი გამოდგა, რომ დამხმარე ავტომანქანები ჯგუფს საგრძნობლად ჩამორჩნენ. სისწრაფემ თანდათან იმატა და ბოლოს 70-75 კილომეტრს მიაღწია საათში. ასეთ სისწრაფეზე მხოლოდ მოტოციკლებმა შეძლეს ჯგუფთან ახლოს ყოფნა, რბოლას ჩამორჩა სამი-ოთხი ველოსიპედისტი. უკან დარჩა იგოითის აღმართი, ნატახტრის გადასახვევი, მცხეთის მიდამოები. ჯგუფი კი არ იშლებოდა. ბოლოსდაბოლოს, გამოჩნდა ფინიში და ველოსიპედისტებმა დიდ სისწრაფეზე გადაკვეთეს იგი. პირველი ფინიშთან დინამოელი გ. ჯოხაძე მივიდა, მაგრამ დანარჩენი ველოსიპედისტების დროც ისეთი იყო, როგორც ლიდერებისა. ველოსიპედისტები გორიდან თბილისში ჩამოვიდნენ 2:01;15,0. მეოთხე ეტაპი (დაყოფილი და საერთო სტარტის ჯამის მიხედვით) მოიგო „ლოკომოტივის" წარმომადგენელმა ს. კვინიკაძემ, ამ ეტაპზე რბოლის სიჩქარე კიდევ უფრო მაღალი გამოდგა — დაახლოებით 42-43 კილომეტრი საათში.

• • •

ველორბოლის მეხუთე ეტაპს სტარტი მიეცა გუშინ, გმირთა მოედანზე და სპორტსმენები იმავე დღეს დაბრუნდნენ უკან — თბილისში. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-ანანური-თბილისი. რბოლაში მონაწილეობა მიიღო 36 სპორტსმენმა.

ზურგქარის მიუხედავად, ველოსიპედისტებმა უჩვეულოდ ნელ ტემპში გაიარეს პირველი კილომეტრები. სისწრაფემ არ იმატა არც ტრასის მეოთხედის გავლის შემდეგ. შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სპორტსმენები თავს ინახავდნენ რაღაც „საშინელის" მოლოდინში. ანანურის სიახლოვეს სისწრაფის გაზრდის რაღაც პატარა ცდა იყო, მაგრამ მას ჯგუფი არ გამოეხმაურა და ენთუზიაზმი ჩაქრა.

სურათი შეიცვალა ანანურიდან უკან წამოსვლისას. რბოლის მონაწილეებს თითქოს მაშინ გაახსენდათ, რომ ისინი იბრძვიან ოსტატობის ნორმის შესასრულებლად, „გაახსენდათ" და ბოლოსდაბოლოს დაიწყეს ნამდვილი რბოლა. სისწრაფემ საგრძნობლად იმატა, ზოგ ადგილებში მან 45 კილომეტრსაც კი მიაღწია საათში, მაგრამ ჯგუფის დანაწევრებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. დისტანციის პირველ ნახევარში „გასეირნებამ" არავინ დაღალა და ყველა კარგად გრძნობდა თავს.

როგორც ამ ველორბოლაში ხშირად ხდება, ფინიშთან მივიდა 25-კაციანი ჯგუფი, ხაზი კი ყველაზე ადრე დინამოელმა გ. ჯოხაძემ გადაკვეთა. გამარჯვებულის შედეგია — 3:31.15,0. ყველა დანარჩენი წამყვანი ველოსიპედისტის დროა 3:31.16,0.

ნ. გუგუშვილი

მოსკოვის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ტურნირმა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. ჩვენი ქვეყნის სპორტის სახელს იცავდა „სპარტაკის" ნაკრები გუნდი.

სპორტის ამ სახეობის მოყვარულების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩემპიონებმა ვან ჩუან-იაომ და ციუ ჯუნ-ხოიმ. აღსანიშნავია, რომ მათ ამას წინათ დაამარცხეს ევროპის ჩემპიონები — უნგრელი ჩოგბურთელები ზ. ბერციკი და ე. კოციანი. ამ ტურნირშიც ჩინელებმა გამოავლინეს მაგიდის ჩოგბურთის თამაშის მაღალი კლასი. ვან ჩუან-იაომ ფინალში მოუგო უნგრელ ა. პეტეფის — 3:1. ჩინელების გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე მათი გამოსვლა შერეულ წყვილთა შორის, სადაც მათ გამარჯვება მოიპოვეს ე. ცელერ-მ. განტერზე (რუმინეთი) — 2:0.

სამი პირველი ადგილი მოიპოვეს რუმინელებმა — მ. განტერმა და მ. პოპესკუმ.

• • •

სურათზე: ჩინელი ჩოგბურთელი ვან ჩუან-იოა თამაშის დროს.

ფოტო ვ. დორენსკისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე ხტება რ. შავლაყაძე

მიმდინარე წლის მარტში ქართველმა მძლეოსანმა რ. შავლაყაძემ ლენინგრადში მოიგო სსრ კავშირის პირადი პირველობა სიმაღლეზე ხტომაში დახურულ შენობაში, მაშინ მან დაძლია ზუსტად 2 მეტრი. ამის შემდეგ შავლაყაძემ იგივე შედეგი გაიმეორა ნალჩიკში, რაც მეტყველებდა მისი მაჩვენებლების სტაბილურობას.

18 მაისს ერევნის სტადიონზე რობერტ შავლაყაძე გადახტა 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე. 1958 წელს ღია მოედნებზე გამართულ შეჯიბრებებში ასეთი შედეგი მსოფლიოში არა აქვს არავის, გარდა ოლიმპიურ ჩემპიონ ჩ. დიუმასისა (აშშ), რომლის შედეგია 2 მ 12 სმ.

რ. შავლაყაძე ნახტომს ასრულებს გადავლებითი ხერხით. მისი ხტომის ტექნიკა დაფუძნებულია საერთო მრავალმხრივ და სპეციალურ ფიზიკურ განვითარებაზე.

შავლაყაძის ხტომის ტექნიკას ახასიათებს გამორბენის მაღალი სისწრაფე მოძრაობათა დიდი ამპლიტუდასთან შეხამებით, გამორბენის სწორხაზობრიობა და ამრეკნი ფეხის დაბიჯება ფეხის წვერის გარეთ გამოწევის გარეშე, მენჯის აჩქარებული მოძრაობა უკანასკნელი ნაბიჯისას და ამქნევი ფეხის წამყვანი როლი სხეულის ბრუნვისას ხტომის დროს.

ჩვენს კინოგრამაზე აღბეჭდილია რ. შავლაყაძის 5 მაისის სარეკორდო ნახტომი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სპორტსმენის განიერი ნაბიჯი არეკნის წერტილთან მიახლოებისას, გამორბენის ბოლოსწინა და ბოლო ნაბიჯები (კადრები 1 და 3) და როგორი ღრმა ბუქნი აქვს მას ამის შედეგად არეკნის წინ (კადრი 2). ამ კადრებზე კარგად ჩანს თუ როგორ გადის წინ მენჯი მხოლოდ ერთი, უკანასკნელი ნაბიჯის დროს.

4-7 კადრებზე ნათლად ჩანს მძლავრი არეკნი. ამქნევი ფეხი მოძრაობას ასრულებს ჯერ მუხლის სახსარში გამართვით (კადრები 5 და 6) და შემდეგ განაგრძობს ამართს მუხლში მოხრით (კადრი 7). ერთდროულად ამასთან ხელები ასრულებენ აქნევს ზევით მარჯვენა მხრის აქცენტირებული ამართით მარცხენასთან შედარებით, რის შედეგადაც არეკნის დროს მარცხენა ფეხი და მარჯვენა მხარი ერთ ვერტიკალურ სიბრტყეში იმყოფებიან.

თამასაზე მხტომელის სხეულის ბრუნისათვის წინასწარი პირობები იქმნება უკვე არეკნის დროს ამქნევი ფეხისა და ერთსახელიანი ხელის სწორი მოძრაობით. ყურადღებას იპყრობს, თუ რამდენად მაღლა იმყოფება მენჯის მარჯვენა ნაწილი მარცხენასთან შედარებით და როგორაა მობრუნებული მარცხენიე მენჯი და ამრეკნი ფეხის ტერფი.

შავლაყაძეს კარგად აქვს ათვისებული თამასაზე სხეულის ბრუნის ტექნიკა ვერტიკალური ღერძის გასწვრივ (კადრები 9 და 10). თამასაზე ამ ხერხით გადასვლისას დიდ სიძნელეს წარმოადგენს ამრეკნი ფეხის დასკვნითი გადატანა თამასაზე. ხტომის ეს რთული დეტალი გადაჭრილია საკმაოდ ორიგინალური ხერხით: მხრების ბრუნი წყდება, ხოლო მენჯი ფეხებითურთ განაგრძობს ბრუნს (კადრები 11 და 12).

მიწაზე დაშვება ხდება ხელებზე და შემდეგ სხეულის მარჯვენა მხარეზე.

რ. შავლაყაძის ნახტომში შეცდომას წარმოადგენს არეკნის დროს კორპუსის რამდენადმე ზედმეტი დახრილობა მარცხნივ, თამასის მხარეს (კადრი 6). თუ მძლეოსანი შეძლებს ამ დეფექტის გამოსწორებას, მაშინ იგი კვლავ ახალი მიღწევებით გაგვახარებს.

კინოგრამა და ტექსტი სპორტის დამსახურებულ ოსტატ

**ვ. დიაჩკოვისა.**

---

## სპორტული საზოგადოების ანგარიშგება-არჩევნები

# ნაკლოვანებათა მხილების ნიშნით

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის საწარმოო-დაწესებულებების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში დასასრულს უახლოვდება ანგარიშგება-არჩევნები. 167 ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში უკვე ჩატარდა საანგარიშო კრებები და არჩეულია საბჭოების ახალი შემადგენლობა.

ანგარიშგება-არჩევნები წარმოადგენს საწარმოთა და დაწესებულებათა ფიზკულტურული საქმიანობის განვითარების ახალ ეტაპს. კრებებზე გამომჟღავნდა ნაკლოვანებები, მოხდა დადებითის აღნიშვნა.

აი, ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების მაგალითი: ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი რიცხვმრავალია. ამიტომ ბუნებრივია, რომ მეფეხსაცმელეებს ბევრი ჰქონდათ სალაპარაკო თავიანთ კრებაზე. საანგარიშო მოხსენება გააკეთა ძირეული კოლექტივის თავმჯდომარემ გ. წამალაიძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო გაწეულ მუშაობას, აღნიშნა ნაკლოვანებებიც, რომლებიც ხელს უშლიდა ფაბრიკაში ფიზკულტურული საქმიანობის ფართოდ გაშლას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 17 ფიზკულტურელმა. ისინი უშუალოდ შეეხნენ საჭირბოროტო საკითხებს. ნ. სემიონოვმა აღნიშნა, რომ ფაბრიკაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დაყენებული საწარმოო ტანვარჯიშში. ამაში იგი და შემდგომ სიტყვაში გამოსული ნ. მიხაილოვსკაია ბრალს დებენ საამქროების უფროსებსა და ოსტატებს, რომლებიც ნაკლებად ეხმარებიან ინსტრუქტორებს. იმაზე, რომ ქალები თითქმის არ არიან ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში, ილაპარაკა ლ. კაზარენკომ. მან შემოიტანა წინადადება ჩამოყალიბდეს ფაბრიკაში მხატვრული ტანვარჯიშის სექცია.

ინსტრუქტორმა ვ. გედევანიშვილმა უსაყვედურა საბჭოს ზოგიერთ წევრს მოუნდომებლობა, ხოლო საამქროების საბჭოებზე თქვა, რომ ისინი არავითარ მუშაობას არ ატარებდნენ. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ზამთრის სპორტული ბაზის უქონლობა შესამჩნევად აფერხებს და ალბათ კიდევ მომავალშიც შეუშლის ხელს სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას.

თვითკრიტიკით გამოვიდა კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. გონიაშვილი, რომელმაც გულახდილად აღიარა, რომ კომიტეტი ცოტას ეხმარებოდა ფიზკულტურელებს. ძირეულ კოლექტივს მხარდაჭერა აღუთქვა ფაბრიკის პროფკავშირის თავმჯდომარემ გ. გაწერელიამ.

კრებამ მიიღო დადგენილება, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ „განთიადის“ საბჭო სოცშეჯიბრებაში იწვევს ფაბრიკა „პარიჟსკაია კომუნას“ და თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას.

• • •

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კოლექტივის ანგარიშგება-არჩევნებზე ბევრი საინტერესო ითქვა. ძირეული საბჭოს თავმჯდომარემ კორკოტაშვილმა თავისი მოხსენება დაიწყო იმით, რომ ქარხნის სპორტსმენებმა „განთიადში“ გადასვლის შემდეგ (მანამდე ისინი სპორტსაზოგადოება „ტორპედოში“ იყვნენ) იგრძნეს ხელმძღვანელის ხელი. მანამდე ცენტრალური საბჭოდან ქარხანას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და ამიტომ მუშაობაში არსებული მრავალი ხარვეზი წლების მანძილზე დაუძლეველი რჩებოდა.

სიტყვებში გამოსულმა ფიზკულტურელებმა მეტი წილი ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს. რ. პოლოსოვმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდობიდან მხოლოდ 30 პროცენტია ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში. მ. ზიუზინი, მ. ასათიანი, ა. ავეტისოვა შეეხნენ წვრთნის, ფეხბურთელთა მომზადების, ქალთა შორის მუშაობის საკითხებს. „განთიადის“ წარმომადგენელმა ნ. ზიხმა გაამახვილა ყურადღება მუშაობის მნიშვნელოვან უბნებზე. პირველ რიგში მოუწოდა მეტი ახალგაზრდა მოიზიდონ სექციებში, გააძლიერონ აგიტ-მასობრივი საქმიანობა.

• • •

თითქმის მსგავს მტკივნეულ საკითხებზე იყო მსჯელობა სახელმწიფო ბანკის ფიზკულტურული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნებზე. ძირეული საბჭოს თავმჯდომარის შ. ხეთაგიშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

გ. რობაქიძემ, რ. მანდინიანმა და ს. აგასიევმა შეავსეს თავმჯდომარის საანგარიშო გამოსვლა. კრების შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საჭიროა ფიზკულტურული კოლექტივის გაზრდა 50 პროცენტით, სპორტინვენტარის შეძენა, სექციების მეცადინეობაში მეტი ორგანიზებულობის შეტანა და სხვ.

კრებამ ძირითადში მოიწონა საბ[ჭ]ოს მუშაობა და შ. ხეთაგიშვილ[ი] კვლავ აირჩია თავმჯდომარედ.

* * *

ისევ სპორტული ბაზების მშენებლობის, ფიზკულტურულ საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩაბმის, სექციებში მეცადინეობათა, შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ იყო ლაპარაკი თბილისის „სოიუზდორპროექტის“ ფილიალის ძირეული საბჭოს კოლექტივის ანგარიშგება-არჩევნებზე. ა. ალიმბარაშვილის საფუძვლიან ანგარიშს მოჰყვა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა. მომხსენებლისა და კამათში ს. სერვანტიუკის, დ. კოკაიას, რ. გევორქოვის და სხვათა გამოსვლებიდან ნათელი გახდა, თუ რა გაკეთებულა და რაა კიდევ გასაკეთებელი.

ანგარიშგება-არჩევნებზე ყველგან, სადაც კი იგი ჩატარდა, ლაპარაკი იყო ძირითად საკითხებზე: ბაზებზე, სექციებზე, შეჯიბრებებზე, სპორტში ახალგაზრდობის ჩაბმაზე და სხვ. ღონისძიებები, რომლებიც აქ ერთხმად მიღებულ იქნა, იმის საწინდარია, რომ ახალ სპორტულ სეზონს ფიზკულტურული კოლექტივები საინტერესოდ და მაღალ დონეზე ჩაატარებენ.

---

## სასარგებლო წამოწყებას — ფართო მხარდაჭერა

საყოველთაოდაა ცნობილი ფიზიკური კულტურის კეთილისმყოფელი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. სწორედ ეს გარემოება იდო საფუძვლად ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონის დირექციისა და პარტიული კომიტეტის წამოწყებას — ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებში მოეწყოთ მეცადინეობები საერთო ფიზიკურ მომზადებაში, როგორც ახალგაზრდობისათვის, ისევე ხანშიშესულ მოქალაქეთათვის. ამჟამად ლუჟნიკში 30.000-ზე მეტი ადამიანია ჩაბმული ამ სასარგებლო ღონისძიებებში.

ინიციატივა — ასაკის მიუხედავად მშრომელთა ფართო მასებისა და მუშამოსამსახურეთა ჩაბმა გამაჯანსაღებელ ფიზკულტურულ ღონისძიებებში — ყოველი საწარმოდაწესებულებისა და ორგანიზაციის აქტიურ, მხურვალე მხარდაჭერას საჭიროებს. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, დილის საათებში, შეამჩნევთ უფროსი ასაკის ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ფიზკულტურულ მეცადინეობას გადიან. ჯგუფები დაყოფილია ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით.

ამას გარდა, სტადიონთან არსებულ საექიმო-ფიზკულტურულ დისპანსერში ჩამოყალიბებულია სამკურნალო ფიზკულტურის ჯგუფები საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთათვის. აქ მეცადინეობა განსაზღვრული მეთოდიკის საფუძველზე ხდება.

უფროსი ასაკის ჯგუფებთან მუშაობის სპეციფიკის შესწავლისა და ჯანმრთელობაზე ფიზიკურ ვარჯიშთა ზემოქმედების გამორკვევისათვის დისპანსერის თანამშრომლებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკები.

სასარგებლო წამოწყებას მასობრივი ხასიათი უნდა მიეცეს.

**ნ. ავალიანი,**
**საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერის სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი.**

ლელო

მე-2 გვ. № 60 (1230)



# „პილატეს ცრემლები“

მინსკი. ჭიდაობა სამბოში საკავშირო პირველობის უკანასკნელი დღე. სარბიელზე გაცხარებული ბრძოლებია. ჩემპიონის ოქროს მედლისათვის იბრძვიან რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, სომხები, იბრძვიან ქართველებიც — სპორტული საზოგადოება „განთიადის“, „კოლმეურნეს“, „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები. ტრიბუნის ერთი კუთხე დაუკავებიათ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც დამარცხება განიცადეს და შეჯიბრებიდან გამოითიშნენ. ისინი ახლა გულშემატკივარის როლში გამოდიან, შეძახილებით ამხნევებენ თავიანთ ამხანაგებს. მათ რიცხვში მეტად ცოტაა საქართველოს წარმომადგენლი.

## სცენარი მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის

დიქტორი: სად სცალიათ მათ ტრიბუნაზე დასაჯდომად, მათი ადგილი სარბიელზეა. მაგრამ ყველა ხომ არ იბრძვის ჩემპიონობისათვის. დიდი ნაწილი არც კი მოვიდა თავისი ამხანაგების ჭიდაობის სანახავად. სად არიან ისინი?

მინსკის ერთ-ერთი რესტორანის ვესტიბული. არაბული და ოთარაშვილი შესასვლელში დგანან.

— შევიდეთ!

— არა.

— თითო გადავკრათ!

— ჩვენი წაგების აღსანიშნავად?

— არა სიცივეა, გავხურდებით.

— წონა დაკლებული მაქვს „პილატეს ცრემლები“ ცუდათ იმოქმედებს.

— ერთი შენც

ორივე შედის რესტორანში. კადრი იცვლება. რესტორანის კარები იღება და ორივე აწითლებული, საყელოგაღეღილი, ხელგადახვეული გამოდის.

— ახლა სად წავიდეთ.

— სასტუმროში, ბიჭებთან.

— მე გაგაცილებ.

— მოდი გაკოცო...

* * *

სასტუმრო „პერვაია სოვეტსკაიას“ ბუფეტი. მაგიდას უსხედან „განთიადის“ მოჭიდავეები: ჩქარეული, სულაშვილი, ზარიძე, ქაცანაშვილი და... თქვენ წარმოიდგინეთ კუპატაშვილიც...

მკითხველს ალბათ ახსოვს კუპატაშვილი, რომლის შესახებ ჩვენ უკვე მოვათავსეთ ფელეტონი სათაურით „ოსტაპ ბენდერი წყალტუბოს რაიონში“. შინაარსის მოყოლა შორს წაგვიყვანდა. მოკლედ ვიტყვით: მან დიდიხანია თავი დაანება სარბიელს და ახლა გასტროლიორობა დაიწყო. მაყურებელს პირდება ცხენის კისრით აწევას, ლურსმნების კვნეტას, ფულს აკრეფავს და სადღაც გაუჩინარდება. აი ასეთი „მზარდი მოჭიდავე“ რესპუბლიკის სახელს იცავდა მძიმე წონაში.

... მაგიდაზე ალაგია არყის ცარიელი ბოთლები. ჩქარეული ვერ იტანს ამ „უმსგავსოებას“ და ყვირის.

— მოიტა ერთიც! მოაქვთ. კვლავ ახალი სადღეგრძელო...

ბუფეტში მყოფნი გაკვირვებით მხრებს იჩეჩავენ.

— რამდენს სვამენ!

— წააგეს და ამდენს სვამენ, რომ მოეგოთ ალბათ მთელი ბუფეტი არ ეყოფოდათ.

— უფროსი არავინ ჰყავთ? როგორ შეიძლება ამდენი სმა, ასე ხმამაღალი ლაპარაკი სასტუმროში!

ჩქარეული უკანასკნელ სიტყვებს ყურს მოკრავს.

— რაო! შენ ვინ გკითხავს? — გაიწევს გასარტყმელად, ამხანაგები აკავებენ, ატყდება ჩოჩქოლი.

— გამიშვით ბიჭებო, შუბლზე მინდა ვაკოცო.

— არ გაუშვათ, უკბენს!

— გამიშვით თორემ.

მაინც არ გაუშვეს. მაშინ ჩქარეული იღებს ჭიქას და ანარცხებს იატაკზე. მაინც არ გაუშვეს. მაშინ წყლის ჭურჭელს ამტვრევს. მაინც არ გაუშვეს! ახლა ფანჯრის მინას დასცხო მუშტი. ბუფეტის გამგეს ფერიფური მისდის, შეშინებული დერეფნში გამოვარდება...

— მიშველეთ, მიშველეთ! ბუფეტი დამიმტვრიეს!

ჩქარეული ძალის-ძალათი გამოჰყავთ ბუფეტიდან. აწყნარებენ, ემუდარებიან. მთვრალების ჯგუფი ადის მესამე სართულზე. კარებში შეშინებულ, ახალგამოღვიძებულ მობინადრეებს გამოუყვიათ თავები, ჩურჩულებენ.

— აი, რა იცის „პილატეს ცრემლებმა“.

— ვინ არიან?

— ვინ იქნებიან, სპორტსმენები!

განთიადელებმა წიხლი ჰკრეს კარებს და ყველა ერთად შევიდა ოთახში. დებოში არ თავდება. ახლა ერთმანეთს დაერიენ. სულაშვილმა ყურისძირში უთავაზა კილასონიას. ეს სილაქი გაისმის, როგორც სცენარის პირველი ნაწილის დამამთავრებელი აკორდი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

* * *

ვესტიბულში ბუფეტის გამგე ემუდარება ადმინისტრატორს.

— გამოიძახე მილიცია, ზარალი აგვინაზღაურონ.

— არ არის საჭირო, ხვალ ყველაფერი მოგვარდება.

სადარბაზო კარები იღება. არაბული და ოთარაშვილი ღიღინით შემოდიან. ოთარაშვილი გადაჭრით მოითხოვს.

— შენ ახლა ჩემთან უნდა წამოხვიდე.

— სიამოვნებით, თუ გაცილებაა, გაცილება იყოს.

— მოდი გაკოცო...

მებუფეტეს კვლავ ფერი-ფური მისდის.

— გამოიძახეთ მილიცია! ტანი მიგრძნობს, რომ დებოში ახალი ძალით იფეთქებს.

— მართალი ხარ, ყოველ შემთხვევისათვის დავრეკოთ.

* * *

გაიღვიძეთ ბიჭებო, სტუმარი მოგიყვანეთ! — იძახის არაბული. სინათლეს აანთებს. მძლავრმა სინათლემ თვალები მოსჭრა ისედაც თვალშისინათლეგამოლეულებს. ყველამ შეიცნო შრომითი რეზერველი არაბული. ოთარაშვილი ენის ბორძიკით განაგრძობს:

— ჩემი ამხანაგია, მომაცილა, პატივი უნდა ვცე. მაშ როგორ, სახლში ხომ არ გავუშვებ, აქ უნდა დავაწვინო.

— აქ ადგილი არა გვაქვს.

— აი, აქ, ამ საწოლზე, ერთად დავწვეთ. არა მე იატაკზე, შენ საწოლზე.

— შეწუხდები. მე წავალ...

— არა, აქვე რომ მოვკვდე, არ გაგიშვებ.

— ძალიზე ხარ? არ მინდა აქ დარჩენა.

— მომეხმარეთ ბიჭებო, გავხადოთ ტანზე.

ატყდება ისევ ალიაქოთი, არაბული ბულასავით ტრიალებს არ ანებებს ტანსაცმლის გახდას, ბოლოს თვითონ გადადის იერიშზე და მანამ არ მოისვენა, ვიდრე მსაჯ ტლაშაძისაგან საჩუქრად სილაქი არ მიიღო. კარები იღება და გამოჩნდება მილიციელი. იგი ყურადღებით ათვალიერებს ყველას. არაბული შუა ოთახში დგას ფეხშიშველი, საკინძემოხეული.

— თქვენ წამოხვალთ ჩემთან! —

— გაისმის მილიციელის ცივი ხმა.

— სად?

— გამოსაფხიზლებელ ოთახში...

* * *

დერეფანში კაცის ჭაჭანება არ არის, მოჭიდავეთა ოთახში სრული სიწყნარეა, ზოგი ხვრინავს კიდეც. ოთარაშვილი ზეწარგადაფარებული გაუნძრევლად წევს. უცებ შეკრთება, წამოხტება, სინათლეს ანთებს და ყვირის:

— სტუმარი გაგვიგდეს, გაგვილახეს! ხალხო, ეს სადაური სამართალია! — ხმას არავინ იღებს.

— მშიშრებო, ადექით! — კვლავ დუმილი. მაშინ ოთარაშვილი დერეფანში გამოვარდება. მოურიდებლად შეაღებს მსაჯთა ოთახის კარებს და... ყველაფერი იწყება თავიდან. იგიც ჩქარეულივით იატაკზე ჯერ ჭიქას ანარცხებს, შემდეგ წყლის ჭურჭელს, მიიწევს ყველაზე, იგინება, ილანძღება დერეფანში მობინადრეები აღარ ჩურჩულებენ, ისტერიულად ყვირიან:

— ბოლოსდაბოლოს როდის გათავდება ყოველივე ეს.

— ვინ არიან ეს ხულიგნები?

— „პილატეს ცრემლები“ კი არა შხამი დაულევიათ. ასეთი გაუთავებელი გაგონილა?

კვლავ ძიძგილაობა, ხვეწნა, მუდარა. ოთარაშვილი მოასვენეს და მთელმა სასტუმრომ დაისვენა. იცვლება კადრი. დილა. სასტუმროს ბუფეტი. „განთიადის“ წარმომადგენელი ვ. მაჭავარიანი ზარალს უნაზღაურებს მებუფეტეს. იცვლება კადრი. მინსკის ერთ-ერთი სამილიციო უბნის გამოსაფხიზლებელი ოთახი. არაბული განყოფილების მორიგეს უხდის ჯარიმას. იცვლება კადრი. განთიადელები ცხვირჩამოშვებულები, დარცხვენილები ტოვებენ სასტუმროს, მათ არავინ არ აცილებთ, პირიქით, უხარიათ ასეთი აზეზარი სტუმრების თავიდან მოცილება. ფანჯრიდან იყურება მძიმე წონის მატყუარა კუპატაშვილი, რომელმაც არ ისურვა გუნდთან წამოსვლა და ახლა თავის ამხანაგებს ხელის ქნევით აცილებს.

* * *

**დიქტორის ხმა:** „სახელოვანი“ სპორტსმენები დაბრუნდნენ თბილისში. ყოველი მათგანის შრომა სათანადოდ დაფასდა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ. ჩქარეულს, სულაშვილს, ოთარაშვილს, ქაცანაშვილს, არაბულს სათანადო სასჯელი დაედოთ. დაისაჯა აგრეთვე გუნდის მწვრთნელი მ. ელერდაშვილი გუნდის ზერელედ, უპასუხისმგებლოდ დაკომპლექტებისათვის, ხოლო კუპატაშვილი სამუდამოდ დისკვალიფიცირებულია.

* * *

**მინაწერი:** რასაკვირველია, ამ სცენარს ეკრანზე განხორციელების არავითარი პრეტენზია არა აქვს. იგი ჩვენ დავწერეთ სპორტულ საზოგადოებათა ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც გუნდებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აგზავნიან ყოველგვარი შემოწმების გარეშე და იმ სპორტსმენების გასაფრთხილებლად, რომლებიც თავს ვერ იკავებენ, თავიანთი უმსგავსო საქციელით არცხვენენ რესპუბლიკას.

ვინც ყურად არ იღებს ამ გაფრთხილებას და კიდევ დაარღვევს სპორტულ დისციპლინას, განთიადელ მოჭიდავეთა ბედს (და უფრო მწარეს) გაიზიარებს.

ა. გორდელი

## ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

### ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ამას წინათ ქუთაისის რაიონში მოეწყო შეჯიბრებები ველოსპორტში, ჭადრაკსა და ფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის 40 წლისთავს.

ველორბოლა, რომელშიც მონაწილეობდა 20 სპორტსმენი, ჩატარდა 25 კილომეტრიან დისტანციაზე. პირველი ადგილი დაიკავა სოფელ ოფშკვითის საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ხარაბაძემ, მეორე — სიმონეთის საშუალო სკოლის მოსწავლემ ჯ. მაჩიტიძემ, ხოლო მესამე — ზ. კობეშავიძემ (ოფშკვითის საშუალო სკოლა).

ჭადრაკში ჩატარდა გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა საკოლმეურნეო, სასკოლო და წარმოება-დაწესებულებათა 8 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი. პირველი ადგილი დაიკავა გუმათჰესის მშენებლობის გუნდმა.

ფეხბურთში ჩატარდა ორი შეხვედრა. სოფელ გეგუთის „კოლმეურნის“ ფეხბურთელთა ნაკრებმა გაიმარჯვა ქუთაისის სტამბის გუნდთან ანგარიშით 3 : 1. მეორე დღეს სტამბის ფეხბურთელებმა კიდევ წააგეს შეხვედრა სიმონეთის ფეხბურთელებთან ანგარიშით 2:3.

ჯ. უკლება

### ᲙᲠᲝᲡᲘ 3000 ᲛᲔᲢᲠᲖᲔ

ყაზბეგის რაიონის ახალგაზრდებმა კომკავშირის 40 წლისთავს მიუძღვნეს მასობრივი კროსი 3000 მეტრზე. კროსში მონაწილეობა მიიღეს რაიონის საშუალო სკოლების ფიზკულტურელებმა. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ყაზბეგის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები.

შ. მარხაგიშვილი

### ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ამას წინათ გორელმა სტუდენტებმა კალათბურთსა და ფრენბურთში ამხანაგური შეხვედრისათვის მიიწვიეს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა და ქალთა გუნდები.

პირველ დღეს გაიმართა ვაჟთა გუნდების შეხვედრები. კალათბურთში გაიმარჯვეს თბილისელებმა, სამაგიეროდ, გორელებმა რევანში აიღეს ფრენბურთში. იგივე შედეგები განმეორდა ქალთა გუნდების შეხვედრაში.

გ. როინიშვილი

## სპორტული ქრონიკა

**თბილისი.** საქალაქო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში (II-III თანრიგში) გამოდიოდა „შრომითი რეზერვების“, განათლების განყოფილების, „დინამოს“, „სპარტაკისა“ და სხვა სპორტსაზოგადოებათა 140-მდე სპორტსმენი.

მეორეთანრიგოსანთა შორის გაიმარჯვეს: რ. ხაჩატუროვმა, ვ. კირთაძემ, ბ. მარიდაშვილმა, თ. გასვიანმა, გ. ხაჩიძემ, ხოლო მესამეთანრიგოსანთა შორის — ვ. დანელიამ, ე. მუსერიძემ, ლ. ბექაურმა, ვ. ნადირაშვილმა, ა. ქლენტმა, გ. ნონიკაშვილმა, გ. ხვედელიძემ, ნ. ერემიაშვილმა.

ი. ჩხარტიშვილი

* * *

**ბათუმი.** აქ გაიმართა ველოსიპედისტთა შერჩევითი შეჯიბრება. ვაჟთა შორის 100-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა მოსწავლე რ. ჩხარტიშვილმა. ქალთა შორის 20 კილომეტრი საგზაო ველოსიპედებით მოიგო ლ. ლავრენიუკმა.

მ. კირაკოსიანი

* * *

ბესლახუბის (ოჩამჩირის რაიონი) იპოდრომზე გაიმართა სამატჩო შეხვედრა ცხენოსნობაში ადგილობრივ და ფოქვეშელ სპორტსმენთა შორის. მარულაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ცხენბურთში ფოქვეშელებმა განიცადეს დამარცხება — 0:6. სამაგიეროდ გამარჯვება მოიპოვეს ისინდში — 8:6.

ქ. შამუგია

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა [illegible]

ძირითადი [illegible]

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 4 | 4 | 0 | 22:10 | 12 |
| „ტორპედო“ | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „შახტიორი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 9:10 | 11 |
| „ლოკომოტივი“ | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 10 |
| „დინამო“ კ. | 8 | 2 | 5 | 1 | 15:10 | 9 |
| „დინამო“ თბ. | 9 | 4 | 1 | 4 | 15:24 | 9 |
| „დინამო“ მ. | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 8 |
| ცსკ მო | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 8 |
| „ზენიტი“ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი„ | 10 | 1 | 5 | 4 | 7:14 | 7 |
| „ადმირალტეეცი“ | 10 | 3 | 0 | 7 | 17:29 | 6 |
| „მოლდოვა“ | 9 | 0 | 4 | 5 | 11:21 | 4 |

* * *

**ლენინგრადი. 18 მაისი.** (ტელეფონით). აქ კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ადმირალტეეცი“ და კუიბიშევის “კრილია სოვეტოვი“. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 2:0.

* * *

**კიშინიოვი. 18 მაისი.** (ტელეფონით). ადგილობრივმა „მოლდოვამ“ მორიგ კალენდარულ მატჩში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე მიიღო სტალინოს „შახტიორის“ ფეხბურთელთა გუნდი. შეხვედრა მოიგო „შახტიორმა“ — 3:2.

## ფინიშის წინ

რიგაში დამთავრდა კალათბურთში საკავშირო პირველობის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები „ა“ კლასის ვაჟთა გუნდებს შორის. ორი უკანასკნელი დღის შეხვედრათა შედეგები ასეთია: ცსკმო-„სპარტაკი“ (რიგა) — 81:61, სკვო (რიგა)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 81:71, „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა)-„ტრუდი“ (სვერდლოვსკი) — 76:78, „სპარტაკი“ (რიგა)-„ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა) — 87:57, „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ტრუდი“ (სვერდლოვსკი)—65:58, სკვო (რიგა)-ცსკმო—80: 78.

ივლისში მოსკოვში შეიკრიბება საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ვაჟთა თორმეტივე გუნდი, აქ საბოლოოდ გამოვლინდება ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი.

* * *

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა II წრის I ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკვო (რიგა) | 16 | 14 | 2 | 14 |
| ცსკმო | 16 | 13 | 3 | 13 |
| „დინამო“ (მოსკ.) | 16 | 11 | 5 | 11 |
| „ბურ“. (ალმა-ატა) | 16 | 9 | 7 | 9 |
| „ბურ“. (ლდ.) | 16 | 8 | 8 | 8 |
| „დინამო“ (თბ) | 16 | 8 | 8 | 8 |
| „სპარტაკი“ (რიგა) | 16 | 7 | 9 | 7 |
| „კალევი“ (ტალინი) | 16 | 7 | 9 | 7 |
| „ჟალგირისი“ (კაუნ.) | 16 | 6 | 10 | 6 |
| „ტრუდი“ (სვერდლ). | 16 | 5 | 11 | 5 |
| „სპარტაკი“ (მოსკ) | 16 | 4 | 12 | 4 |
| „ბურ“. (თბ) | 16 | 4 | 12 | 4 |

* * *

ზუგდიდის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს პირველობა ჭადრაკში.

შეჯიბრებაში, რომელშიც 24 სპორტსმენი მონაწილეობდა, I-II ადგილები გაიყვეს სოფელ ჭითაწყაროს წარმომადგენლებმა ჯ. და ჯ. პაჭკორიებმა.

პირველობაში ექვსი გამარჯვებული სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს ზუგდიდის რაიონის 1958 წლის პირველობის ნახევარფინალებში.

ა. ბაკურაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სლავია“ ბაქოში

თბილისში გამართული საერთაშორისო შეხვედრების შემდეგ ბულგარეთის „სლავიას“ ფრენბურთელთა გუნდები ეწვივნენ ბაქოს.

არასახარბიელოდ წარიმართა ქალთა გუნდების მატჩი სტუმრებისათვის. ბაქოელმა სპორტსმენებმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 18:16 მოიგეს პირველი პარტია. მათივე გამარჯვებით დამთავრდა მეორე პარტიაც 15:11. მომდევნო ორ პარტიაში სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში ბაქოელმა ფრენბურთელებმა დასაწყისიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, გაიმარჯვეს 15:7 და მოიგეს შეხვედრა — 3:2.

ვაჟთა კოლექტივების შეხვედრაში ბაქოელებმა ადვილად დათმეს პირველი და მეორე პარტიები. სამაგიეროდ, მესამე პარტიაში მათ შეძლეს უპირატესობის მოპოვება და მოიგეს იგი — 15:12. მეოთხე პარტიაშიც ბულგარელებმა სძლიეს მოწინააღმდეგეებს და შეხვედრა მოიგეს — 3:1.

ფ. პეტზელი, ჩვენი საკ. კორესპონდენტი.



სურათებზე: (ზემოთ) ბულგარეთის ქალთა გუნდის მწვრთნელი თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდთან თამაშის წინ რჩევას აძლევს სპორტსმენებს. (ქვევით მარცხნივ) პ. პონდალოვი შესანიშნავი ნახტომით იღებს თბილისელთა ძლიერ დარტყმას. (მარჯვნივ) თბილისელთა ერთ-ერთი კომბინაცია ქულის მოპოვებით დამთავრდა.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.

# სტუდენტთა

დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა, აგრეთვე კალათბურთელ ქალთა შეხვედრები. ფრენბურთში ფინალური შეხვედრების პირველ დღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა უნივერსიტეტის კოლექტივი, ხოლო გორელმა სპორტსმენებმა ამავე ანგარიშით მოუგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებს. აღსანიშნავია, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებმაც მოიგეს პირველი ორი პარტია, შემდეგში სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მოწინააღმდეგეს და მოედნიდან დამარცხებული წავიდნენ. მეორე დღეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა ადვილად მოუგეს უნივერსიტეტს — 3:0, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა — გორის კოლექტივს. ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების მატჩს უნდა გამოევლინა სპარტაკიადის ჩემპიონი. პირველ პარტიაში მომავალმა ინჟინრებმა განიცადეს დამარცხება, მაგრამ შემდეგ ზედიზედ მოიგეს სამი პარტია და მოიპოვეს ზონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება.

◆

## „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური სპარტაკიადა

◆

საკმაოდ მწვავედ და საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა ფინალური შეხვედრები. ფინალში გავიდნენ ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების გუნდები. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტმა წააგო რა ფიზკულტურის ინსტიტუტთან — 1:3 და პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან — 0:3, არ გამოცხადდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან თამაშში, რისთვისაც დამარცხება მიესაჯა.

პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდების შეხვედრის მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში გაიმარჯვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებმა. მეორე დღეს სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდების მატჩის მეხუთე პარტიაში ფიზკულტურის ინსტიტუტს ანგარიში მიჰყავდა 10:2, მაგრამ ვერ შეძლო ინიციატივის შენარჩუნება. როცა ანგარიში გახდა 12:12, სიბნელის გამო შეხვედრა შეწყვეტილ იქნა. ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა — 3:2. პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების მატჩი დამთავრდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით — 3:2.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ კალათბურთელ ქალთა ოთხეულში შევიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები. ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხეს რა დიდი ანგარიშით, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა მოიპოვეს „ბურევესტნიკის“ ჩემპიონობა. სამაგიეროდ, სხვაგვარად წარიმართა შეხვედრა მომდევნო ადგილებისათვის. სამივე გუნდმა მოაგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა. მაგრამ მიღებული და გატანილი ბურთების უკეთესი შეფარდების გამო მეორე ადგილი მიეკუთვნათ პედაგოგიური ინსტიტუტს, ხოლო მესამე — სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს.

კარგად ჩაატარეს შეხვედრები გორის პედინსტიტუტის კალათბურთელებმა. განსაკუთრებით დაძაბული იყო მათი მატჩი ქუთაისის პედინსტიტუტთან, რომელიც ერთი ქულის განსხვავებით — 31:30 მოიგეს.

კვირას დაიწყო ვაჟთა გუნდების წინასწარი შეხვედრები, სადაც გამარჯვებისათვის იბრძვის 16 უმაღლესი სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდი. პირველი დღის ტექნიკური შეხვედრები ასეთია: სახელმწიფო უნივერსიტეტი-ზოოვეტინსტიტუტი — 107:22, პედინსტიტუტი (თბ.)-პედინსტიტუტი (ბათ.) — 83:42, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-პედინსტიტუტი (სტალინირი) — 139:37, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბ.)-რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი — 59:33, ფიზკულტურის ინსტიტუტი-პედინსტიტუტი (სოხ.) — 96:22, პედინსტიტუტი (გორი)-პედინსტიტუტი (ქუთ.)— 79:41.

ფინალური შეხვედრები დაიწყება ხვალ.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა**




VI ტურში მაყურებლის ყურადღება მიიპყრო გამრეკელ-გურგენიძის შეხვედრამ. კარო-კანის დაცვაში გურგენიძემ ვერ მიიღო თანაბარი თამაში და მძიმე ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ იგი ბევრს ფიქრობდა. თამაშის გააქტივების მიზნით გურგენიძემ ორი პაიკი შეწირა, მაგრამ გამრეკელმა მოიგერია მუქარები, შეინარჩუნა უპირატესობა და გადადო პარტია.

ბუსლაევმა პატარა კომბინაციით ხარისხი და პარტია მოუგო რაზოვსკის. ლოლუამ შიშოვთან დაბოლოებაში ვერ მოუნახა თავის მეფეს თავშესაფარი. შემდეგ შეცდა და მატერიალური ზარალის გამო დანებდა. გიორგაძემ მოუგო მორჩილაძეს.

მწვავე თამაშით აღინიშნა ბელთაძე-დემურიას შეხვედრა. შუა თამაშში დემურიამ საგრძნობლად შეავიწროვა მოწინააღმდეგის ფიგურები და გარღვევით მხედარში ეტლი მოიგო. ამ პარტიის ფინალი ცაიტნოტში მიმდინარეობდა. მოულოდნელად დემურია შეცდა და ეტლი წააგო. მაგრამ ამ დროს ბელთაძეს ალამი ჩამოუვარდა საათზე, რაც მოსაფიქრებლად განკუთვნილი დროის გადაცილებას ნიშნავდა და ამიტომ მას წაგება მიესაჯა.

გაგუას სტრატეგიამ ლაზიერის ფრთაზე სრული მარცხი განიცადა ბლაგიძესთან პარტიაში. მან დაკარგა ორი პაიკი. ამიტომ სწორი იყო მისი მძაფრი შტურმი ბლაგიძის მეფეზე. საქართველოს ჩემპიონმა დაკვირვებული თამაშით მოიგერია მუქარები და გაიმარჯვა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. ლომაიას მოგების შანსები აქვს ეტლების დაბოლოებაში კასპარიანთან, იზვოზჩიკოვს — ბრეიტმანთან. საინტერესო დაბოლოებაშია შეწყვეტილი კალატოზიშვილ-მაჭავარიანის შეხვედრა.

# ევროპის პირველობა კალათბურთში

ლოძში (პოლონეთი) დამთავრდა ევროპის პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ფინალური შეხვედრების პირველ დღეს იუგოსლავიის გუნდმა ანგარიშით 61:51 დაამარცხა პოლონეთის ნაკრები, ხოლო ბულგარელებმა ადვილად სძლიეს ფრანგებს — 70:23. ამ დღეს ყველაზე საინტერესო იყო ჩემპიონობის აღიარებული პრეტენდენტების საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივების მატჩი. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 52:46.

მეორე დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავია — 79:39. შემდეგში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა მოუგეს პოლონეთს, ხოლო ბულგარელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკელი და პოლონელი კალათბურთელები. ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კოლექტივებს წაგება არ ჰქონიათ, რამაც განაპირობა ის დიდი ინტერესი, რომელსაც მაყურებლები იჩენდნენ ამ კოლექტივების შეხვედრისადმი. საბჭოთა კალათბურთელებმა ტაქტიკურად არასწორად ააგეს ბრძოლა და მოწინააღმდეგეს საშუალება მისცეს თავიდანვე ხელთ ეგდო ინიციატივა. საბჭოთა კავშირის კალათბურთელებს არაერთხელ ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ ზედმეტი ნერვიულობის გამო გუნდმა ვერ შეძლო ამ ამოცანის გადაწყვეტა და განიცადა დამარცხება — 51:54.

ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს ბულგარეთის კალათბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, ხოლო მესამეზე — ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

# კლუბი გაიხსნა

ამას წინათ, რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიხსნა კეთილმოწყობილი საჭადრაკო კლუბი. კლუბის გახსნასთან დაკავშირებით რუსთავის უძლიერესმა მოჭადრაკეებმა მოაწყვეს ელვისებური თამაშის ტურნირი. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მოსწავლე ივანოვმა, მეორე — ახალგაზრდა ინჟინერმა იურინმა.

განზრახულია კვალიფიციური მწვრთნელის მოწვევა, მეცადინეობების, ლექციების, ერთდროული თამაშის სეანსების მოწყობა.

**გ. ბუიშვილი**

# 1:1

## საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი

◆

თამაში გაუბედავად დაიწყო. ორივე გუნდი ნერვიულობდა. განსაკუთრებით ჩვენები. მალე ინგლისელებმა ინიციატივა აიღეს ხელთ და საბჭოთა ფეხბურთელები იძულებული შეიქნენ ყრუ დაცვაში ყოფილიყვნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა მარცხენა გარემარბი ფინეი. იგი დიდი სისწრაფით აკეთებდა ურთულეს დრიბლინგებს, ზუსტად აწოდებდა პარტნიორს ბურთს. ოგონკოვმა მასთან ვერაფერი გააწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისელებს მეტად აქტიური ნახევარდაცვა ჰყავდათ კლეიტისა და სლეიტერის სახით, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ მოწინააღმდეგის კარის იერიშისათვის.

საბჭოთა გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელს სტრელცოვს არ ჰქონდა სათანადო მხარდაჭერა. ამიტომ იგი მთელი ძალით ვერ თამაშობდა. პირველი ნახევრის 45-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ბურთი მიიღო კევანმა, გვერდი აუარა კრიჟევსკის და გაიტანა გოლი.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები უფრო აქტიურად თამაშობდნენ და შედეგმაც იჩინა თავი — ივანოვმა გოლით დააგვირგვინა თავისი პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაცია. ასე დამთავრდა (1:1) ეს შესანიშნავი მატჩი.

შეჯიბრებას ესწრებოდა უცხოეთიდან ჩამოსული მრავალი ტურისტი. მათ შორის განსაკუთრებით ბევრი იყვნენ ინგლისელები. როგორც კი ინგლისელი ფეხბურთელები იერიშს წამოიწყებდნენ გულშემატკივრები სახელმწიფო დროშას აფრიალებდნენ და ყიჟინით ამხნევებდნენ თავისიანებს.

**ბ. ქორქია,**
**მოსკოვი. ჩვენი სპეც. კორ.**

# მსოფლიო რეკორდზე მაღლა

ამ დღეებში კრასნოდარში გაიმართა მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-სა და უკრაინის უძლიერეს მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი.

ათჭიდელთა შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია მოსკოველმა მძლეოსანმა ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც 8.013 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი ბევრად აღემატება ამერიკელ ჯონსონის მსოფლიო რეკორდს.

ვ. კუზნეცოვი პირველი მძლეოსანია მსოფლიოში, რომელმაც გადალახა რვაათასიანი ზღვარი.

# ორიგინალური მატჩები

ევროპაში ჩატარდა ფეხბურთის ორი მეტად ორიგინალური მატჩი.

შვეციაში თამაშობდა პოლიციელებით დაკომპლექტებული ორი გუნდი. მატჩი ისეთი აზარტით მიმდინარეობდა, რომ მსაჯი იძულებული იყო წესების დარღვევისათვის მოედნიდან გაეძევებინა ექვსი პოლიციელი ფეხბურთელი.

საფრანგეთში ჩატარდა მატჩი ექიმებსა და ბანკის მუშაკებს შორის. ექიმებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 6:3 და დაახიანეს ბანკის 5 თანამშრომელი. ვინაიდან ახლომახლო საექიმო პუნქტი არ იყო, ეს უკანასკნელები იძულებული იყვნენ დახმარებისათვის თავიანთი მოწინააღმდეგეებისათვის მიემართათ.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62, 3 მგ მდივნისა და განყოფილებების — 3 90 31, მორიგისა და გამომშვების — 3 01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02563